საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1934 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

№29 (6585) 7 ოქტომბერი ხუთშაბათი 1993 წელი

## ესეც გოლგოთაა!

დაიღალა ერი—ომი, სიკვდილი, ღალატი, ძარცვა-გლეჯა, დივერსიები—კატასტროფამდე მეტია ყველაფერი ეს. მაგრამ საქართველო ჯერ არ დაცემულა სულით, არ გატეხილა. ამის მაგალითია სვანეთის მთებიდან ჩვენსკენ მომავალი ათიათასობით ლტოლვილი; მოდის ჩვენი სისხლი და ხორცი თოვლიან უღელტეხილზე, ტყე—ღრეში, წვიმასა და თოვაში, დღითა და ღამით, მოდის ფეხშიშველი, მშიერი, გატანჯული, მოჰყავს დაჭრილები, ავადმყოფები, მოხუცები, მკვდრები. ამ უკანასკნელთაგან ბევრს სვანეთის ზვიად მთებში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი. მოდის ლტოლვილი ქართველობა და უკან რჩება წლობით ნაშენები საკუთარი ბუდე, მშობლიური სახლ—კარი, დამარხული თუ დაუმარხავი მკვდარი, უკან რჩება სისხლით მორწყული მშობლიური მიწა და ტყვიების შემაძრწუნებელი ზუზუნი.

და სვანეთისკენ მიემართებიან ტანკები, ვერტმფრენები, ავტომანქანები, ცოცხალი ძალები, მიდიან და გამოჰყავთ ადამიანები.

მთელი ლეჩხუმი იმთავითვე შეძრა მოძმის გაჭირვებამ, ყველა ფეხზე დადგა, ვისაც რითაც შეუძლია, მზადაა გაიღოს უკანასკნელი ლუკმა, ზამთრის სარჩო, შეაგროვოს თბილი ტანსაცმელი, მედიკამენტები...

რაიონული საკრებულო, ყველა სოფელი მობილიზებულია ლტოლვილთა დასახვედრად. რაიონში თითქმის ყოველდღე შემოდიან ბავშვები, ქალები, მოხუცები... ლეჩხუმი მასპინძლობს მათ, იმედს, სითბოს, საჭმელ—სასმელს უწილადებს, ბინას თავაზობს.

### სიტყვას ვაძლევთ ერთ—ერთ მათგანს

კელასურიდან 15 სექტემბერს, მერხეულში გავხიზნეს ქალები და ბავშვები. სოხუმის დაცემის შემდეგ იმედგაცრუებულები გზას სვანეთის უღელტეხილისკენ დავადექით. საკენში მეუღლე და მოხუცი დედა დავტოვეთ. მე კი ჩემი სამი შვილით [illegible] კილომეტრიანი გზა ციცაბო კლდოვან აღმართებზე ვიარე. რისი წამოღებაც მოვასწარით, ისიც გადავყარეთ. ძნელია აღწერო ის, რაც იქ განვიცადეთ და ვნახეთ. ყველაზე მეტად ალპურ ზონაში გაგვიჭირდა, გაავდარდა, გათოვდა, ყინვად ქცეული ფანტელები გვეცემოდა. [illegible] წაქცეული შვილის წამოყენება გათოშილ, გაყინულ დედას არ შეეძლო და ტოვებდა. ნამდვილი აპოკალიფსია, უსაფლაოდ დარჩენილი გზაზე დაღუპული ლტოლვილები. აგერ ვიღაცას პირსახოცი გადაუფარებია და ისე დაუტოვებია მიცვალებული, რა გული გაუძლებს ამის მაყურებელს. ღამეს მწყემსებთან, კარვებში ვათევდით, რა ფეხსაცმელი გაგვიძლებდა. გასაოცარი ძალა მოიცა ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა ირმამ, რომელიც სტუდენტია და მეორე წელია ინსტიტუტში მისვლა არ ღირსა. ფაქტიურად მან გადაგვარჩინა, უკან ბრუნდებოდა და სათითაოდ გადმოვყავდით. ასე გადმოვაღწიეთ თოვლიან უღელტეხილზე.

ზემო სვანეთში, ჭუბერში ქალებს ჩვენს დასახვედრად თორნეები გაემართათ და ცოცხალმკვდრეებს ცხელ ხაჭაპურებს გვაწვდიდნენ.

სვანეთში გადმოსულებს მანქანები გვხვდებოდა. ამდენ ხალხში სადღაც უმცროსი შვილი დამეკარგა, საშინელება დამეუფლა, როცა გზაზე მისი დატოვებული ფეხსაცმელები ვიცანი, მაშინ დავრწმუნდი, რომ იგი ცოცხალი აღარ იყო, ეს მოხდა 3 ოქტომბერს, კვირას საღამოს 5 საათზე რა უნდა გვექნა, 4 ოქტომბერს გვარდიელები წაგვაწყდნენ და მანქანაზე დაგვსვეს. ერთმა დებად გამოაცხადა ჩემი შვილები და ასე ვიარეთ, აქაც შეგვხვდა ხიფათი, გზაზე ვიღაც გარეწრებმა ცეცხლი გაგვიხსნეს და იარაღის წასართმევად მანქანას დაუხვდნენ. ახლა ცაგერში, ჩემი დის და სიძის ოჯახში ვართ, სადაც ჩემი დაკარგული შვილიც დამხვდა.

ბევრისთვის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რაც ჩვენ თავს გადაგვხდა, მაგრამ რადგან ჩემი შვილი ცოცხალი ვნახე, აღარ ვდარდობ. თუმცა თუკი ასეთი ტანჯვა—წამება გადამხდებოდა და ამდენ საშინელებას ვნახავდი, ჯობდა აფხაზის ტყვია მომხვედროდა და მოვეკალი.

**ნანული შკუბულიანი—კოპალიანი,**
**სოხუმის რაიონი, სოფ. კელასური.**

## არ შედრკე, მასწავლებელო!

ახალი სასწავლო წელიც მოვიდა უსიხარულოდ, თალხით და ცრემლით, ტკივილით.

არც ზარ—ზეიმი, არც სასკოლო ვაჭრობა, არანაირი ცერემონიალი. პირიქით, რამდენმა სასურველი ჩანთა და სამკოფი ნივთებიც კი ვერ შეიძინა უსაშველო ფასების გამო.

ვისაც ჩვენი ახალგაზრდობის მომავალი და ბედი აღელვებს, მისთვის არ უნდა იყოს სულერთი სკოლა და ჩვენი შვილების აღზრდილობა, ქვეყნის მომავალ მოქალაქეებად ფორმირება.

ღვთის წყალობით, ჯერ გვყავს ამაზე მოფიქრალი პედაგოგები, მშობლები და უფროსთა საზოგადოება. მათ არც ძალა დაიშურეს და არც შესაძლებლობა, რომ ახალი სასწავლო წელი რამდენადმე ეგრძნოთ ჩვენს ბავშვებს. საკუთარი სახსრებით და ენთუზიაზმით მოხერხდა მცირე რემონტების ჩატარება სკოლებში. რამდენიმე ახალგაზრდა დამწყები სპეციალისტი შევა წელს პირველად კლასში, დაიწყო სათბობის შეტანა საბავშვო დაწესებულებებში და ა. შ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. დღეს მასწავლებელმა, არც მეტი, არც ნაკლები, თავისთავზე უნდა აიღოს ქვეყნის ახალგაზრდობის გადარჩენის ბედი. უფსკრულში ჩამყურე ქვეყნის მშიერ, ფსიქოზურ, კრიმინოგენურ საზოგადოებაში ალბათ სასაცილოცაა ამაზე ლაპარაკი მაგრამ არა! მასწავლებელს არამც და არა აქვს უფლება ფარ—ხმალი დაჰყაროს და გულხელდაკრეფილი უცქეროს მოვლენებს. ვიდრე ჯერ კიდევ არ არის მთლად გვიან, ჩვენი გულის სითბო, ძალისხმევა, სიცოცხლეც კი უნდა გავიღოთ, რომ ვუშველოთ ახალგაზრდობას. მან უნდა ირწმუნოს, რომ სამშობლოს მხოლოდ პატიოსანი სწავლით, გარჯით, ერთმანეთის სიყვარულით თუ გადავარჩენთ, უნდა შთავაგონოთ, რომ შიმშილი, დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით დაიძლევა, ის, რაც საქართველოში ხდება, დროებითია და მოწესრიგდება, თუ ჩვენ ყველას გვეყოფა სამისოდ ნებისყოფა და გამბედაობა, თუ ჩვენ ერთად განვდევნით ბოროტსა და ეშმას, მწვანე გზას მივცემთ სიკეთეს, პატიოსნებას, სიყვარულს.

მასწავლებლის თითოეული გაკვეთილი უნდა იყოს გაკვეთილი ზნეობის, სულიერი განწმენდის, საქართველოს, მის მომავალზე დაფუძნებული, ერის მრთლიან კეთილშობილ სულად გადაქცევის გაკვეთილი.

მაშ ასე, არ შედრკე მასწავლებელო, ჩვენო სულიერო მოძღვარო. დღეს საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება შენი ნიჭი და გულის მხურვალება, შენ უნდა გადაარჩინო მისი მომავალი.

## ქართული პასპორტის მოლოდინში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 10 ივნისს მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, ხოლო აღნიშნული კანონის განხორციელება ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 28 ივლისიდან. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საპასპორტო სამსახურს მიეცა შტამპები „საქართველოს მოქალაქე“ და „მოქალაქეობის არმქონე პირი“.

მოქალაქეობის განსაზღვრის დროს, თუ რაიმე სადავო საკითხი წამოიჭრება, საქართველოს ტერიტორიაზე ჩაწერის სტაჟის დამადასტურებელ საბუთებში უზუსტობის ან გაურკვევლობის შემთხვევაში საკითხის გადასაწყვეტად პიროვნებამ უნდა მიმართოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან არსებულ „მოქალაქეობის დროებით დამდგენ“ კომისიას.

ყოფილი სსრკ პასპორტების გადახარჯვის შემთხვევაში, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის ბლანკების მიღებამდე საქართველოს მოსახლეობაზე გაიცემა დროებითი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ფორმა 9—ა, მოქალაქეობის განმსაზღვრელი შტამპის დასმით, ამის გამო შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახური აღნიშნული მოწმობების გაცემას დაიწყებს მიმდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, კოლეჯებსა და სხვა სასწავლებლებში, წარმოება—დაწესებულებებში და ორგანიზაციებში წარსადგენ საჭირო საბუთებთან ერთად ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიიღება ფორმა 9—ა.

აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად წამსვლელ უპასპორტო პირებზე, ჩაწერის ფაქტის დადასტურების შემდეგ, გაიცემა მოქმედი დებულებით გათვალისწინებული ფორმა 9—ა მოქალაქეობის განმსაზღვრელი შტამპის დასმით და ჩაწერა—ამოწერის აღნიშვნით (ფორმა №9 იცემოდა სსრკ—ის პასპორტის დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქეზე 2 თვის ვადით, ძალაშია 1974 წლის 28 აგვისტოდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე).

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარების მიზნით რაიონის ტერიტორიაზე მდებარე წარმოება—დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ასევე სოფლის საკრებულოების გამგებლებს მივმართეთ იმასთან დაკავშირებით, რომ უზრუნველყონ მოქალაქეთა გამოცხადება საპასპორტო სამსახურში. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაწყებულია, მაგრამ ნელი ტემპით მიმდინარეობს, დღეის მონაცემებით რეგისტრაცია გაიარა მხოლოდ 1087 პირმა, ძირითადად ქალაქ ცაგერის მოსახლეობამ. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობას აბრკოლებს უტრანსპორტობა და მძიმე ეკონომიკურ—ფინანსური პირობები. ვითვალისწინებთ რა არსებულ რთულ ვითარებას, ვაძლევთ შემდეგ შეღავათს: რეგიონების მიხედვით ერთ პიროვნებას შეუძლია საპასპორტო სამსახურში წარმოადგინოს რამდენიმე მოქალაქის პასპორტი, რაც ხელს შეუწყობს პასპორტების დროულ რეგისტრაციასა და აღრიცხვიანობას.

**მ. ჩაკვეტაძე,**
**შინაგან საქმეთა ცაგერის პოლიციის საპასპორტო სამსახურის უფროსი, პოლიციის კაპიტანი.**

ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების

# დროებითი დებულება

### I. ზოგადი დებულებები

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ“ დროებითი დებულება არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების (რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, რომლებსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი ან რომლის თანამოსახელე რაიონიც არსებობს (ტექსტში შემდგომ „ქალაქის“) მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას. განსაზღვრავს მათ კომპეტენციას, აწესრიგებს ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, დარგობრივ სამსახურებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან შესაბამის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

**მუხლი 1. რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები**

რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილები, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარებამდე უზრუნველყოფენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტასა და შესაბამისი ადმინისტრაციულტერიტორიული ერთეულების მართვას.

რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოა საკრებულო, ხოლო მმართველობის ორგანო—გამგეობა.

რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით.

**მუხლი 2. რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი და ძირითადი პრინციპები**

რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თავის საქმიანობას წარმართავენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს პარლამენტის სხვა აქტების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების, განკარგულებების, მმართველობის ცენტრალური ორგანოების აქტებისა და ამ დებულების საფუძველზე.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ხელმძღვანელობენ კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ეროვნული ტრადიციებისა და წეს—ჩვეულებების, საერთო—რესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

**მუხლი 3. რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.**

რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები თავის უფლებამოსილების ფარგლებში:

—უზრუნველყოფენ ქვემდებარე ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს პარლამენტის სხვა აქტების საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების, განკარგულებების, მმართველობის ცენტრალური ორგანოების აქტებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

—ხელმძღვანელობენ ადგილობრივი (მუნიციპალური) საკუთრების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, მათდამი დაქვემდებარებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას;

—კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ ქვემდებარე ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

—უზრუნველყოფენ ქვემდებარე ტერიტორიის კომპლექსურ სოციალურ—ეკონომიკურ განვითარებას;

—ორგანიზაციას უწევენ ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავებას და უზრუნველყოფენ მის შესრულებას;

—მონაწილეობენ ეროვნული უშიშროების პოლიტიკის განხორციელებისა და რესპუბლიკის თავდაცვის, დანაშაულობასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში.

ილებენ ზომებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად;

—ხელს უწყობენ სასაქონლო—ფულად ურთიერთობათა განვითარებას, საფინანსო და საბანკო სისტემის განმტკიცებას;

—ახორციელებენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებებს.

**მუხლი 4. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიღებული გადაწყვეტილებების სავალდებულოობა**

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მათ კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთათვის.

**მუხლი 5. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების ვადა**

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები თავის უფლებამოსილებებს ინარჩუნებენ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებამდე, მაგრამ არა უგვიანეს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებიდან 3 თვის ვადაში.

**მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოთა (გამგეობათა) გადადგომის უფლება**

გამგებელს, მის მოადგილეს (მოადგილეებს), გამგეობას ან გამგეობის წევრებს წერილობითი განცხადების საფუძველზე აქვთ გადადგომის უფლება.

გადადგომის შემთხვევაში გამგებელი, გამგეობა ან გამგეობის წევრი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ახალი გამგებლის დანიშვნამდე, გამგეობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე ან გამგეობის ახალი წევრის დანიშვნამდე.

გამგებლის გადადგომა ან შეცვლა გამოიწვევს შესაბამისი გამგეობის სრული შემადგენლობით გადადგომას.

**მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოს (გამგეობის) ხელმძღვანელთა სამეურნეო საქმიანობის აკრძალვა**

გამგებელს, რაიონის (ქალაქის) გამგებლის მოადგილეებს ეკრძალებათ კომერციული სამეურნეო საქმიანობა, სამეურნეო საქმიანობა და უფლება არა აქვთ მონაწილეობას იღებდნენ სამეურნეო ორგანიზაციათა მართვაში.

### თავი II. რაიონის (ქალაქის) საკრებულო, მისი შემადგენლობა, კომპეტენცია და მუშაობის ორგანიზაცია

**მუხლი 8. საკრებულო და მისი შემადგენლობა**

საკრებულოს შემადგენლობაში შედიან:

—გამგებელი;

—რაიონის (ქალაქის), საკრებულოს შემადგენლობაში მოსახლეობის მიერ საყოველთაო, ფარული, პირდაპირი და თანასწორი კენჭისყრით არჩეული წევრები;

—საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალურად რეგისტრირებული ყველა იმ პოლიტიკური პარტიის ორ—ორი წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე სტრუქტურული ქვედანაყოფი და არა ჰყავთ საკრებულოში არჩეული წევრები;

—საქართველოს საპარლამენტო წარმომადგენლობის თითო თანამშრომელი.

რაიონის (ქალაქის) საკრებულოს ყველა წევრის რეგისტრაციას მათი წერილობითი განცხადების საფუძველზე აწარმოებს რაიონის (ქალაქის) გამგეობა ამ დებულების ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

წარდგინებას პარტიების წარმომადგენლის საკრებულოში დელეგირების ან შეცვლის შესახებ აძლევენ პოლიტიკური ორგანიზაციის რესპუბლიკური და რაიონული ორგანოები.

საპარლამენტო წარმომადგენლობის თანამშრომლების საკრებულოში დელეგირება, ან შეცვლა ხორციელდება რაიონიდან (ქალაქიდან) არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის წერილობითი წარდგინების საფუძველზე;

საკრებულოს მორიგი სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საკრებულოს წევრთა ფაქტობრივი რაოდენობის ნახევარი მაინც (ფაქტობრივ რაოდენობას შეადგენენ საკრებულოს ის წევრები, რომლებიც წერილობითი განცხადების საფუძველზე გაივლიან რეგისტრაციას შესაბამის გამგეობაში ამ დებულების ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში).

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა ტარდება გამგეობის, ან საკრებულოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

**მუხლი 9. საკრებულოს კომპეტენცია**

საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება:

—რეგლამენტის დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

—სოციალურ—ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა: ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების დამტკიცება:

—ბიუჯეტის დამტკიცება;

საკრებულოს მდივნის არჩევა და გადარჩევა;

—ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟების შემოღება;

**მუხლი 10. საკრებულოს მდივანი**

საკრებულო თავის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს მდივანს. მდივანი ითვლება არჩეულად, თუ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა ფაქტობრივი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

საკრებულოს მდივანი:

—ორგანიზაციას უწევს საკრებულოს სხდომის მომზადებასა და მოწვევას;

—უძღვება საკრებულოს სხდომას;

საკრებულოს მდივანი სათათბირო ხმის უფლებით არის გამგეობის წევრი. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას იგი წყვეტს სამსახურებრივ საქმიანობას.

საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ხელს აწერს საკრებულოს მდივანი.

საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, აუქმებს საქართველოს პარლამენტი, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში—სასამართლო.

### თავი III. საქართველოს რესპუბლიკის რაიონების (ქალაქის) გამგეობა, მისი შემადგენლობა, კომპეტენცია და მუშაობის ორგანიზაცია

**მუხლი 11. რაიონის (ქალაქის) გამგეობის შემადგენლობა და მისი შექმნის წესი**

რაიონის (ქალაქის) გამგეობა შედგება რაიონის (ქალაქის) გამგებლის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეებისაგან, იურიდიული განყოფილების უფროსის (იურისკონსულტის) და გამგეობის არა უმეტეს 5 წევრისაგან. გამგებლის მოადგილეებისა და წევრების რაოდენობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

გამგეობის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით შედის რაიონის (ქალაქის) საკრებულოს მდივანი.

გამგეობის სტრუქტურას შეიმუშავებს რაიონის (ქალაქის) გამგებელი და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

რაიონის (ქალაქის) გამგეობის საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგებელი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფოს მეთაური. გამგეობა და გამგებელი ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის წინაშე.

(გაგრძელება მე—3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების

# დ რ ო ე ბ ი თ ი   დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**მუხლი 12. რაიონის (ქალაქის) გამგეობა და მისი უფლებამოსილება**

გამგეობა არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს გამგებლისათვის დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად.

გამგეობა:

—შეიმუშავებს რაიონის (ქალაქის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამებსა და პროგნოზებს; ადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებს;

—იღებს გადაწყვეტილებებს სესხისა და სხვა გრძელვადიან ვალდებულებათა საკითხებზე;

—შეიმუშავებს რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტის პროექტს; გამოყოფს ძირითად საშემოსავლო წყაროებს, ასიგნებებს ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

—განაგებს მუნიციპალურ საკუთრებას;

—შეიმუშავებს წინადადებებს ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შემცირებისა და გავრცელების შესახებ;

—ამტკიცებს მუნიციპალური სამსახურებისა და გამგეობის კანცელარიის დებულებებს;

—ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) გამგებლის გადაწყვეტილებას სოფლის, თემის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის გამგებლის დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ;

—რეგისტრაციაში ატარებს საწარმოებს, ქვესაწარმოებს, ფილიალებს, წარმომადგენლობებს, აგრეთვე ცვლილებებსა და დამატებებს მათ წესდებებში (დებულებებში);

—შეიმუშავებს რაიონის (ქალაქის) გენერალურ გეგმას. განიხილავს და ამტკიცებს მიკრორაიონებისა და სხვა კომპლექსების დეტალური დაგეგმარების, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის პროექტებს გენერალური გეგმის შესაბამისად;

—წაახალისებს, შეღავათებს უწევს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვემდებარე ტერიტორიაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურების განვითარებას;

—სოფლის, თემის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის გამგეობათა შემადგენლობას და მათში ცვლილებების შეტანას.

—აუქმებს სოფლის, თემის, დაბის რაიონული დაქვემდებარების ქალაქის გამგებლის, გამგეობების, გამგეობებისადმი დაქვემდებარებული სამსახურების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კანონსაწინააღმდეგო ბრძანებებსა და განკარგულებებს;

—აჩერებს მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, შრომის რესურსების გამოყენების, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საკითხებზე რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების იმ ბრძანებებისა და განკარგულებათა შესრულებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას და აცნობებს შესაბამის ორგანოებს;

—საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას, რაიონის (ქალაქის) საჭიროებისთვის მის ქვემდებარე ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის წილის განკარგვის თაობაზე;

—ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 13. გამგეობის კანცელარია**

გამგეობის კანცელარია აერთიანებს გამგეობის განყოფილებებსა და ტექნიკურ პერსონალს. იგი შეიმუშავებს წინადადებებს, ამზადებს გამგეობის გადაწყვეტილებათა პროექტებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

გამგეობის კანცელარიას ხელმძღვანელობს გამგებლის პირველი მოადგილე და წარმართავს კანცელარიის მმართველი, რომელსაც ნიშნავს გამგებელი.

კანცელარიის მუშაობის ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი გამგეობა.

**მუხლი 14. გამგეობის (მუნიციპალური) სამსახურები**

გამგეობის (მუნიციპალური) სამსახურები მმართველობის ორგანოებია, რომლებიც წარმართავენ სამეურნეო კომპლექსის სხვადასხვა დარგების საქმიანობას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

გამგეობისადმი დაქვემდებარებულ სამსახურების ხელმძღვანელებს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის მიხედვით ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი.

სამსახურები, რომლებიც ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებიან, ემორჩილებიან, როგორც გამგებელს, ისე შესაბამის რესპუბლიკურ უწყებას.

მუნიციპალური სამსახურები იღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუნიციპალური სამსახურების მუშაობის ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება დებულებებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი გამგეობა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში).**

---

თვალსაზრისი

# მარჩენალი მიწა—ყველა მოქალაქეს

60 წლის წინ ჩვენში არსებობდა მიწის სარგებლობის კერძო სისტემა, რომელიც დამკვიდრებული იყო ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ (1861 წლიდან). იმ პერიოდში შეიძლებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა, არსებობდა მიწის საეკლესიო ფონდი, სახაზინო ფონდი. მიწის ყიდვა-გაყიდვა დასტურდებოდა იმდროინდელი სახელმწიფო გერბიანი ბეჭდით.

1930 წელს ლეჩხუმში ჩამოყალიბდა პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელები (კომუნები), (შემდგომ, კოლმეურნეობები). დასაწყისში არტელების გამგეობები მოთავსებული იყო დროებით ნაქირავებ კერძო პირების სახლებში. არტელის წევრად მიიღება იყო დემოკრატიული წესით. სურვილის მიხედვით. მაგალითისათვის საჭირო იყო რომ ზედა ცაგერის კოლმეურნეობაში შემსვლელს ზედა ცაგერის ტერიტორიაზე ჰქონოდა სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთის გარდა უნდა შეეტანა გლეხს კოლმეურნეობაში მუშა გამწევი ძალა. სამეურნეო ინვენტარ-მოწყობილობა (ხარები, სახუნელი, ურემი, მარხილი, კევრი) და სათესი მარცვალი (სიმინდი, ხორბალი, ლობიო-ცერცვი). ამავე დროს უნდა ემუშავა სეზონის მიხედვით ოჯახის ყველა შრომისუნარიან წევრს. ის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფ. ცაგერში და არ ჰქონდათ მიწა (ცაგერში მთავრობისა და კოლმეურნეობის საერთო კრების ნებართვით შედიოდნენ კოლმეურნეობაში და შეჰქონდათ იმ სოფლების ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები. საიდანაც იყვნენ გადმოსახლებული ცაგერში. ასეთი მიწის ფართობები ზედა ცაგერის კოლმეურნეობას ჰქონდა ალვის ტერიტორიაზე 6 ჰექტარი ლესინდის ტერიტორიაზე—13 ჰექტარი. სოფ. ზუბის ტერიტორიაზე—2,5 ჰექტარი, სოფელ ორბელის ტერიტორიაზე—2 ჰექტარი. ზემოთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთს კოლმეურნეობა ამუშავებდა 1950 წლამდე კოლმეურნეობების დამსხვილებამდე. 1950 წელს ზედა ცაგერის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობა შეუერთდა სოფ. ქვედა ცაგერის „პროგრესის" სახელობის კოლმეურნეობას.

როგორც ცნობილია სოფ. ზედა ცაგერი გაუქმდა. შეიქმნა პირველად დაბა ცაგერი. შემდგომ კი გადაკეთდა ქალაქ ცაგერად. ყოფილი ზედა ცაგერის კოლმეურნეობის წევრები ზოგი შეუერთდა ქვედა ცაგერის კოლმეურნეობას. ბევრი კი გახდა ქალაქის მცხოვრები. დღეის მდგომარეობით ყოფილი ზედა ცაგერის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე (ფართობები—„სიანგური", „რაბისყანა") განლაგებულია რაიონის მთელი რიგი წარმოება დაწესებულებები, დამხმარე საწარმოები ფერმების შენობები და სხვა. ასევე მთელი სახნავ-სათესი გაივსო მეზობელი სოფლებიდან ჩამოსახლებული მცხოვრებლებით.

ამჟამად, როდესაც მარჩენალი მიწის პრივატიზაციაზე არის ლაპარაკი. რა ჰქონს ყოფილი ზედა ცაგერის მოსახლეობამ. რომელსაც მხოლოდ ქალაქის ნორმა 600—800 კვადრატული მეტრი მიწა აქვს. რით ირჩინოს თავი? (არადა ჭამა ყველას ერთნაირად უნდა). ნორმა პური (400 გრამი) ქალაქელსაც და სოფლელსაც ერთნაირად ეძლევა. ხშირ შემთხვევაში კი პურის ფქვილი ეძლევა სოფლელებს და ქალაქელებს კი არა.

ძალიან ცოდვა დარჩა ზედა ცაგერის, იგივე ქალაქის მცხოვრებლები, რომლებსაც არ აქვთ მიწის ნაკვეთები და არც არავინ ფიქრობს მიცემას.

ჩვენი აზრით, იმ სოფლების მოქალაქეები, რომლებიც შემოემატნენ ზედა ცაგერის ტერიტორიას (წიფერჩი, ლუხვანო, ქვ. ცაგერი, გვესო, ჩხუტელი), რომ დარჩენილიყვნენ თავიანთ სოფლებში, ხომ უნდა მიცემოდათ თანაბრად სოფლის მიწის ნორმა. ამიტომ საქალაქო საკრებულომ თუ სხვა ორგანომ დააზუსტოს სოფლებიდან მოსულ ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა და სხვა მონაცემები. რის საფუძველზეც აღნიშნულმა სოფლებმა გამოყონ ქალაქის მცხოვრებლებს შესაბამისად მიწის ფართობი, რადგან ისინი ცაგერშიც ფლობენ მიწის ნაკვეთებს და სოფლადაც. ხოლო ქალაქის ძველ მცხოვრებლებს არარც ქალაქში აქვთ და არც სოფელში. ამ საკითხის მოგვარებას მოითხოვენ ქალაქ ცაგერის მცხოვრებლები და იმედი გვაქვს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ჩაერევიან და სამართლიანად გადაწყვეტენ. რომ ველოდოთ, პარლამენტი მიიღებს მიწის კანონს და შემდგომ მოგვარდება აღნიშნული საკითხი, თავის მოტყუებაა. რადგანაც რაც კანონი მიიღეს, ვერც ერთი ვერ შესრულდა. მიწის კანონი კი ყველაზე უფრო ძნელი განსახორციელებელია როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, მიწის პრივატიზაციის კომისიამ და მისმა მუშაობამ ვერაფერი შედეგი გამოიღო. პირიქით, ხალხი გადაკიდა ერთმანეთს. მეზობელი მეზობელს, ძმა ძმას და ბიძაშვილი—ბიძაშვილს.

დღეს ოჯახი, რომელიც სრულებით არ მუშაობდა კოლმეურნეობაში, გახდა მიწის პატრონი, ხოლო ქალაქში მცხოვრებს, რომელიც კოლმეურნეობის წევრი იყო და მუშაობდა არაფერი დარჩა. არ უნდა დაგვავიწყდეს, ზარმაცსა და უქნარას არც კოლმეურნეობის პერიოდში მოუყვანია სარეკორდო მოსავალი და ვერც „კერძოობის" დროს მოიყვანს.

ჩვენის აზრით, ლეჩხუმში არის მიწის სავარგულებისა და საძოვრების ის რაოდენობა, რომ თუ გონივრულად და გეგმაზომიერად იქნება გამოყენებული 18 ათას სულს კი არა, მეტს დაარჩენს.

საინტერესოა, რას ფიქრობს ის ორგანიზაცია, რომელსაც ევალება რაიონში მიწის პრივატიზაციის განხორციელება? ისევ მალე მოვა გაზაფხული და ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, სად არის მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი, რომ დროულად მესამე გაზაფხულზე მაინც შეუდგეს საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას. წელს მოგვიციელეს ასეთი პასუხით—ახლა გვიანია და გაისისათვის მოგვარდება მიწის საკითხიო. მაგრამ ჩვენ ის გვაღელვებს, რომ გაისიც მალე მოვა და მოტყუებული დავრჩებით. ასე რომ არ მოხდეს, ამთავითვე უნდა სწორად წარიმართოს მიწის საპრივატიზაციო კომისიების მიზანსწრაფული მუშაობა, გამოყენებულ იქნას გასული წლების კომისიების მუშაობის დადებითი გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს მიწის პრივატიზაციის საკითხის სწორად გადაწყვეტას.

პ. სილაგაძე,
ვლ. თოდიძე,
გ. ბენიძე,
შ. ხეცურიანი,
მ. ლიპარტელიანი,
ტ. სოხაძე.

## სასამართლოს დარბაზიდან

# დიდხანს არ დასცალდა

უკანასკნელ სამწლეულში რესპუბლიკასა და ჩვენს რაიონში მნიშვნელოვნად გართულდა კრიმინოგენური მდგომარეობა. დანაშაულს ჩადიან სულ ახალ-ახალი ადამიანები. მით უმეტეს, სამწუხაროა ის, რომ დანაშაულს და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს — ბანდიტობას, სადიზმს ჩადიან ახალგაზრდები, არასრულწლოვანები.

გასული წლის დეკემბერში სოფელ ზარაგულაში მცხოვრები ნუგზარ კოლიას ძე კოპალიანის ინიციატივით შეიქმნა ბანდიტური ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ქ. ცაგერში მცხოვრები, ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მამუკა მურთაზის ძე კუხალაშვილი, ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე ალექსანდრე დავითის ძე მეშველიანი და ლასხანელი, ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ზაზა კარლოს ძე ჭილვარია.

1992 წლის 17 დეკემბერს 23 საათზე ბანდიტური ჯგუფი თავს დაესხა სოფელ ზარაგულაში მცხოვრებ გრიშა ოსიას ძე მეშველიანის ოჯახს, სცემეს გ. მეშველიანს და მეუღლეს, მიაყენეს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, გაუკოჭეს ხელფეხი და მიაბეს საწოლზე. გაიტაცეს 10000 მანეთი და 3 ოქროს ბეჭედი.

ბანდიტურ ჯგუფს, როგორც ჩანს, გაუტკბა მუქთად ნაშოვნი ფული და ქონება. 1993 წლის 5 იანვარს 01 საათზე თავს დაესხნენ ზარაგულაში ნიურა კირილეს ასულ კოპალიანის ოჯახს. ოჯახის დიასახლისმა მოასწრო გაქცევა, ბანდიტებმა კი გაიტაცეს მისი კუთვნილი ლაბადა და ქურთუკი.

მადა ჭამაში მოდისო და იმავე ღამეს 5 იანვარს მამუკა მურთაზის ძე კუხალაშვილი და ალექსანდრე დავითის ძე მეშველიანი ყაჩაღურად თავს დაესხნენ ქ. ცაგერში მცხოვრებ ნოდარ ნესტორის ძე მურცხვალაძეს, გაუკრეს ხელები, სცემეს სახის არეში და ზურგზე მიაყენეს დამწვრობა. გაიტაცეს ტელევიზორი „რეკორდი" და გადამალეს მ. კუხალაშვილის საცხოვრებელ სახლში.

ბანდიტურ ჯგუფს მოქმედება დიდხანს არ დასცალდა. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა დააკავეს ყველანი, ამოჩენილი იქნა ნივთიერი მტკიცებანი.

ამ დღეებში ცაგერის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე [illegible] რეჩიანი) განიხილა ბანდიტური ჯგუფის საქმე და ნუგზარ კოლიას ძე კოპალიანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ხოლო მამუკა მურთაზის ძე კუხალაშვილს, ზაზა კარლოს ძე ჭილვარიას, ალექსანდრე დავითის ძე მეშველიანს თითოეულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3—3 წლით.

**რედაქტორი**
**ნ. ნემსაძე.**

## ყურადღება!

რაიონის სავაჭრო ქსელში მიღებულია 17,050 ტონა შაქარი. ერთ სულ მოსახლეზე გაიცემა 800 გრამი. ერთი კილოგრამის ღირებულებაა 800 კუპონი. შაქრის ნაწილი გაიცემა ლტოლვილებზე.

რაიონში შემოტანილი მარგარინი გაიცემა მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე.

**რაიკოოპერატივის გამგეობა**

## გილოცავთ

**ზინა ფოფხაძე—ცვარიანს**

სულითა და გულით მოგილოცავთ დათოს ბედნიერებას. დაე, ამ სიხარულმა გაგამხნეოს და ძალა შეგმატოს, აკვნები გაამრავლოს თქვენს ფუძეზე თქვენდა სასიხარულოდ და თქვენი ძვირფასი დავითის უკვდავსაყოფად.

**ცაგერის რაიონული სტამბის და გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციის კოლექტივი.**

**შორენა, მამუკა ჩხეტიანებს**

გილოცავთ ბედნიერებას. იმრავლეთ.

**ოთარ ჩხეტიანი ოჯახით.**

**შორენა სილაგაძეს, მამუკა ჩხეტიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

**გურამ მამარდაშვილი, ნოდარ ყურაშვილი ოჯახებით.**

**ბელა გაგუას, ნიკო სარალიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ პაპა ბებოს კერაზე.

**მერი, ვენერა, ლილი ჩარკვიანები.**

**დალი, ენთაზ ირემაძეებს**

გილოცავთ ქალიშვილის იამზეს ბედნიერებას.

**კავშირგაბმულობის ლვირიშის განყოფილების თანამშრომლები.**

**ნაზიკო, თინა, გუჟუ კოპალიანებს**
**ლედი, გურამ მუშკუდიანებს**
**მანანა, ომარ ჭაბუკიანებს**

გილოცავთ შვილების უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას.

**იზო, მარგალიტა გურჯალიანები.**

**ნელი, ჟორა აკობიძეებს**
**ცინური, ლულუნა სალინაძეებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

**თამაზ სვანიძე ოჯახით.**

**ნატო სალინაძეს, ზაზა აკობიძეს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

**აზა, თორნიკე, მამუკა სვანიძეები.**

**ეთერ, მერი, ლილი ჩარკვიანებს**

გილოცავთ შვილისა და დისშვილის ბედნიერებას.

**ვენერა ჩარკვიანი.**

**ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.

**წიფერჩის საბავშვო ბაგა—ბაღის თანამშრომლები.**

**იზო, ჯონი მებრელეებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. კვლავ მრავალი სიხარული გენახოთ.

**მაყვალა გუგავა ოჯახით.**

**ლანა, თემურ, თინა, აბესალომ ცხვედიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი.

**იზო, მარგალიტა გურჯალიანები.**

---

მეუღლე ჟორა, შვილები მთვარისა, მურადი, მაგული, რძალი ლეილა, დები ევა, გალინე, სიძეები შარო უგრეხელიძე, გუჯა ჩაკვეტაძე, მურად ამბროლიანი, ბადრი ბენდელიანი, ბორის მამარდაშვილი, მულები ვერა, გაგუცა, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ გიორგის ასული დავითულიანი—ბენიძე**

დაკრძალვა 10 ოქტომბერს, კვირას სოფ. ზუბში.

---

გუგული ჩხეტიანი ღრმა მწუხარებით იუწყება

**დავით ჩაჩხიანის**

გარდაცვალებას.

---

ბებია დოდო, ბიძები ბადრი, უსუპ ჭაბუკიანები, ბიცოლები აზა მუავანაძე, მარინე ნემსწვერიძე, ბიძაშვილები იუწყებიან

**ბელა ჯემალის ძე სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

სერგო, შურმან სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ბელა სილაგაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რეზო ჭაბუკიანი, ვალიკო მურცხვალაძე, ბენადი კვირკაშვილი, ვაჟა შენგელია, მურთაზ თაგვაძე, გოგი მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯემალ, ციცო სილაგაძეებს შვილის

**ბელა სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გურგენ, რუბენ, ბივი გურჯალიანები, ჟორა ხეცურიანი, სერგო ქურციკიძე, ვილგელმ გოლეთიანი ოჯახებით იუწყებიან

**ბელა სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთინო, ლელა, ირმა სილაგაძეებს ბიძაშვილის

**ბელა სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ზანი ქლიბაძე და მშობლები თანაუგრძნობენ ნანული, ია ჩაჩხიანებს მეუღლისა და მამის

**დავით ჩაჩხიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ვალიდა, მამა როლანდი, და ირინე, ძმა მალხაზი, ბებიები რაისა, ლიზა, ბაბუები არსენ ხეცურიანი, გიორგი ჩანქსელიანი, მამიდა ხათუნა, დეიდები ლუიზა, მაყვალა, ქემლათი, ბიძები ამირან ხეცურიანი, შოთა კოპალიანი, სიმონ ხარძიანი, ბორის ლვარჩლიანი, ქვიტი პირველი, ბიცოლა მზია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლარისა როლანდის ასული ხეცურიანი**

დაკრძალვა 10 ოქტომბერს, კვირას სოფ. ალვში.

---

მეუღლე მერი, შვილები ქეთინო, ფატიმა, მაკა, კახა, დები ნანუშა, მერი, ძმები შოთა, მიშა, რძლები ლოლა, ნორა, სიძეები გალაქტიონ ჩხეტიანი, ფრიდონ უგრეხელიძე, თენგიზ შუბითიძე, ვალერი მეშველიანი, ცოლისდები ლენა, ნორა ხვადაგიანები, ქვისლები ჟორა ფრუიძე, სულიკო ბატიაშვილი, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიშა აკაკის ძე ჩარკვიანი**

დაკრძალვა 7 ოქტომბერს, ხუთშაბათს სოფ. მახაშში.

---

ორბელის საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება

**დავით ჩაჩხიანის**

და

**ბელა სილაგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულთა ჭირისუფალს.

---

ლუდვიგ ხეცურიანი ოჯახით იუწყება სიძის

**კუჭიკო გოლეთიანის**

გარდაცვალებას.

---

ბორის, მამუკა, ოთარ, გონდო ჩხეტიანები, გრიშა ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ გორგასლიძე—ჩხეტიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზურაბ ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ბიქტორ ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მიშა კოპალიანი, გრიშა ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ვენერა, ჟორა ახვლედიანებს დის

**დალის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა სულიკო, მამა მიხა, ძმა როსტომი, დები ინგა, ინდირა, სიძე სოსო მიქაძე, დისშვილები ნინო, თამრიკო, კოტე, გიორგი მიქაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კობა მიხას ძე ზურაბიანი.**

დაკრძალვა 7 ოქტომბერს, ხუთშაბათს სოფ. ორბელში.

---

კავშირგაბმულობის ლვირიშის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერი ხეცურიანს დეიდის

**ნუცას**

გარდაცვალების გამო.

---

დისშვილები ნუნუ, მერი ხეცურიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუცა ხეცურიანი—განძელაძე.**

---

მევლუდ, ნუგზარ, ლეილა მეშველიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლილი, ვიტალი მეშველიანებს დედის

**მელიკო მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალექსი უგრეხელიძე ოჯახით იუწყება

**გრიშა ჩარკვიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლისა და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვიტალი მეშველიანის ოჯახს

**მელიკო ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის მანქანა—ტრაქტორთა პარკის საწარმოს კოლექტივი თანაუგრძნობს გრიშა სვანიძეს დედის

**ელპიტეს**

გარდაცვალების გამო.

---

რაიონის განათლების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

**ბიქტორ ნიკოლოზის ძე ქარსელაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზოია სილაგაძეს დისშვილის

**კობა ზურაბიანის**

გარდაცვალების გამო.